სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080189459688017

**# 529**

**13 /** თებერვალი **/**
**2017 წ.**

## შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობის შესახებ

აღწერილობითი ნაწილი

**1.** ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2017 წლის 7 თებერვალს (19:08 საათზე) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ SMP170000465 მომართვა, რომლითაც შემსყიდველი ორგანიზაცია ითხოვს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობას.

**2.** შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, 2017 წლის 6 თებერვალს შემსყიდველმა ორგანიზაციამ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, სამედიცინო მოწყობილობის - ენდოპროტეზის გამარტივებული შესყიდვა, ღირებულებით - 1144 ლარი.

**3.** შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, 2017 წლის 3 იანვარს, ენდოპროტეზების შესყიდვის მიზნით, შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკურმა კლინიკურმა საავადმყოფომ“ გამოაცხადა SPA170000039 ელექტრონული ტენდერი, რომელიც 24 იანვარს დასრულდა უშედეგოდ. 27 იანვარს ხელახლა გამოცხადდა SPA170001915 ელექტრონული ტენდერი, რომელიც მიმდინარეობის პროცესშია. 2017 წლის 29 იანვარს საავადმყოფოს მომართა პაციენტმა, რომელსაც ესაჭიროებოდა გადაუდებელი ენდოპროტეზირების ოპერაცია, ხოლო საავადმყოფოს არ გააჩნდა სათანადო სამედიცინო მანიპულაციების შესასრულებლად საჭირო ტრავმატოლოგიური მასალა (აღნიშნული მასალა მარაგის სახით არ ინახება, ვინაიდან კომპლექტში შემავალი კომპონენტები სხვადასხვა ზომისაა და წინასწარ შეუძლებელია განისაზღვროს, თუ რა სახის საქონელი გახდება საჭირო, ყოველი კონკრეტული პაციენტისთვის). შესაბამისად, დაუყოვნებლივ განხორციელდა მომართვაში მითითებული მახასიათებლების ენდოპროტეზის შესყიდვა. შესყიდვის დაყოვნება შეზღუდავდა კლინიკის მიერ სრულყოფილი სამედიცინო მომსახურების გაწევის შესაძლებლობას, რაც საფრთხეს შეუქმნიდა პაციენტის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს.

**4.** დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

## სამოტივაციო ნაწილი

**5.** შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

**6.** სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული შესყიდვა წარმოადგენს გადაუდებელ აუცილებლობას, რამდენადაც, როგორც მომართვაშია აღწერილი, 2017 წლის 3 იანვარს, ენდოპროტეზების შესყიდვის მიზნით, შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკურმა კლინიკურმა საავადმყოფომ“ გამოაცხადა SPA170000039 ელექტრონული ტენდერი, რომელიც 24 იანვარს დასრულდა უშედეგოდ. 27 იანვარს ხელახლა გამოცხადდა SPA170001915 ელექტრონული ტენდერი, რომელიც მიმდინარეობის პროცესშია. 2017 წლის 29 იანვარს საავადმყოფოს მომართა პაციენტმა, რომელსაც ესაჭიროებოდა გადაუდებელი ენდოპროტეზირების ოპერაცია, საავადმყოფოს კი, არ გააჩნდა სათანადო სამედიცინო მანიპულაციების შესასრულებლად საჭირო ტრავმატოლოგიური მასალა, რამდენადაც გამოცხადებული ტენდერის ფარგლებში ხელშეკრულების გაფორმება ვერ მოხერხდა, ხოლო აღნიშნული მასალა მარაგის სახით არ ინახება, ვინაიდან კომპლექტში შემავალი კომპონენტები სხვადასხვა ზომისაა და წინასწარ შეუძლებელია განისაზღვროს, თუ რა სახის საქონელი გახდება საჭირო, ყოველი კონკრეტული პაციენტისთვის. შესაბამისად, დაუყოვნებლივ განხორციელდა მომართვაში მითითებული მახასიათებლების ენდოპროტეზის შესყიდვა. შესყიდვის დაყოვნება შეზღუდავდა კლინიკის მიერ სრულყოფილი სამედიცინო მომსახურების გაწევის შესაძლებლობას, რაც საფრთხეს შეუქმნიდა პაციენტის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს და შესაბამისად ზიანს მიაყენებდა საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს.

## სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-11 პუნქტებით და დაადგინა:

1. მართლზომიერად იქნეს ცნობილი შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვა.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე